

დამტკიცებულია

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ

ძალაშია 2016 წლის 26 თებერვლიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 მაისამდე

განაკვეთები (ტარიფები)

საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ რადიოეთერში საჯარო გადაცემისათვის

კლასი	საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ეთერში გამოყენების ხვედრითი წილი	განაკვეთი
I	0 - 5%	სამაუწყებლო შემოსავლის 0.5% მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა ყოველთვიურად
II	5 - 20 %	სამაუწყებლო შემოსავლის 0.8% მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა ყოველთვიურად
III	20 - 50 %	სამაუწყებლო შემოსავლის 1.3% მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა ყოველთვიურად
IV	50 - 75%	სამაუწყებლო შემოსავლის 1.7% მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა ყოველთვიურად
V	75 - 100%	სამაუწყებლო შემოსავლის 2% მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა ყოველთვიურად

- სამაუწყებლო შემოსავლის არარსებობის შემთხვევაში ვრცელდება მინიმალური განაკვეთები
- განაკვეთები ვრცელდება ინტერნეტ რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციებზეც
- არაკომერციული და/ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100%-ით დაფინანსებული რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციისათვის პროცენტული განაკვეთების ოდენობა მცირდება 20%-ით
- თბილისის ფარგლებს გარეთ, ერთ სამაუწყებლო გეოგრაფიულ ზონაში მაუწყებელი რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციისათვის გადასახდელი საავტორო ჰონორარი მინიმალური განაკვეთის ნაწილში შეადგენს დადგენილი ოდენობის 20%-ს
- რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციისათვის, რომელიც ფლობს ორ და მეტ რადიოსამაუწყებლო არხს, პროცენტული განაკვეთების ოდენობა მცირდება 25%-ით
- სამაუწყებლო შემოსავალი ამ განაკვეთების მიზნებისთვის განიმარტება როგორც მაუწყებლობით მიღებული მთლიანი შემოსავალი დღგ-ის ჩათვლით (იჯარის, გრანტების და სხვა ისეთი შემოსავლების გარდა, რომელიც მიიღება არასამაუწყებლო საქმიანობით)
- განაკვეთები შეიცავს დღგ-ს

გიგა კობალაძე

გამგეობის თავმჯდომარე